ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული

საქართველოს სხდომა

ოქმი N01

დ. ლენტეხი. 23.02.2024წ.

მიმდინარე წლის 23 თებერვალს დღის 12 საათზე გაიმართა ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს სხდომა, სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ქურასბედიანი, მოადგილეები ამირან ქურასბედიანი, მურადი ჩანქსელიანი, წევრები: მევლუდ ლიპარტელიანი, ლამზირა გუგავა, თორნიკე გასვიანი, ზურაბ ონიანი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე, „ფონდი ლენტეხისთვის“ ხელმძღვანელი გურამ გაზდელიანი, წევრი დათო ტვილდიანი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,, ფონდი ლენტეხისთვის“ შექმნის თაობაზე.

/მომხს. გურამ გაზდელიანი/

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ფონდი შეიქმნა მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის, კომისიის წევრები მიიღებენ მონაწილეობას თანხის განაწილების საქმეში. აღნიშნა რომ ფონდი არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტულ სტრუქტურაზე. მერია მიზნობრივად უნდა განკარგავდეს თანხას. ფონდის წევრები გაუწევენ კონტროლს სხვადასხვა მიმართულებებს, არა მხოლოდ სოციალურს, ამ კუთხით შეზღუდვა არ აქვთ. ფონდის იდეა წამოვიდა შოვის ტრაგედიიდან და აქვს კონკრეტული დანიშნულება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა გამოთქვა აზრი, რომ ფონდში არსებული თანხის განაწილება არ უნდა იყოს მხოლოდ სოციალური კუთხით განსაზღვრული, არამედ სხვადასხვა მიმართულებით და არ ქონდეს მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულება.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტუღუ აფაქიძემ აღნიშნა, რომ ფონდის მიზანია მძიმე ავადმყოფების და უსახლკარო ადამიანების დახმარება. უნდა შეიქმნას 3-4 კაციანი ჯგუფი და თანხის განკარგვა ხდებოდეს ფონდთან შეთანხმებით.

ზურაბ ონიანმა დასვა შეკითხვა თუ როგორ ხდება ფინასსური დახმარების გაცემა და შესაბამისად რა კონტროლის მექანიზმი არსებობს.

ფონდის ხელმძღვანელმა გურამ გაზდელიანმა ისაუბრა ფონდი ლენტეხისთვის დაარსების და მიზნების შესახებ, ერთი თვეა რაც დაარსდა ფონდი. სურვილის მიხედვით